ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 22 მარტი, 2023 №57 (9093) ფასი: 80 თეთრი

საკასაციო სასამართლომ დავით კეზერაშვილს 5 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა

გვ.5

„მარგველაშვილი ავტორიტეტია ოპოზიციაში, გახარია რთული ამოცანის წინაშეა“

გვ.3



სოსო ცინცაძე: „დღეს ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ოპოზიციის მხრიდან, დამღუპველია“

„ნაცები „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით არ შემოდიან პარლამენტში“

იაგო ხვიჩია: „ვადამდელი არჩევნებით სირცხვილს ჩამოვირეცხავთ, რასაც რუსული კანონის მხარდაჭერა ჰქვია და ასე დამძიმებული არ შევალთ სალაპარაკოდ პარტნიორებთან“

გვ.2

პაატა დავითაია: „ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ როგორც პუტინზე გამოცხადდა სანქციები, ისე ჩვენც მოვისმინოთ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ პირებზე სანქციები“

„ქართულ ოცნებაში“ კრიზისია. შიგნიდან ძალიან ცუდი ამბები გამოდის“

გვ.3

„ზელენსკიმ მშვიდობიანი გეგმა წარმოადგინა

გვ.4

„მისი პირველი პუნქტია რუსეთის ჯარების გაყვანა უკრაინის მთელი ოკუპირებული ტერიტორიიდან“

გვ.2

პრემიერი: „ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის მთავარი საზრუნავი და ჩვენი ხალხის დაკვეთა არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და ჩვენი ქვეყნის გადარჩენა“

5 თავდასხმა „ტვ პირველის“ ჟურნალისტზე — მოსამართლემ მოძალადე გაათავისუფლა

2 „შენ ენა გააჩერე... ნესიერად ილაპარაკე... შე ავადმყოფო“ — ხათუნა სამნიძე დაჩი ბერაიას

2 „შენ როგორ უნდა იბრძოლო თუ ხარ გამოშტერებული...“ — მეუფე სტეფანე ახალგაზრდებს მიმართავს

6 ტრამპი დაპატიმრების მოლოდინში

1993230720223

„ნაცები „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით არ შემოდიან პარლამენტში“

იაგო ხვიჩია: „ვადამდელი არჩევნებით სირცხვილს ჩამოვირეცხავთ, რასაც რუსული კანონის მხარდაჭერა ჰქვია და ასე დამძიმებული არ შევალთ სალაპარაკოდ პარტნიორებთან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გირჩის ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.



– ბატონო იაგო, საკმაოდ დიდი ქაოსი და დაპირისპირებაა დღევანდელ პოლიტიკურ ველზე. დასავლელი პარტნიორები პოლარიზაციის აღმოფხვრისკენ მოგვიწოდებდნენ და მე მგონი, უფრო გავაღრმავეთ ეს პროცესი. როგორია თქვენი შეფასებები, რას ცდილობს „ქართული ოცნება“? ვისმენთ შეფასებებს, რომ შესაძლოა სერიოზულ რეპრესიებზე გადავიდნენო. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– მე ყველაფერს ველოდები, ზოგადად, ამ სიტუაციის მერე, რადგან ნაცვლად იმისა, გაეაზრებინა „ქართულ ოცნებას“ რა დაემართა, პირიქით, აქეთ გადმოვიდა შეტევაზე. ხან სტუდენტებს ემუქრება, ხან სასამართლოს გადაწყვეტილებებით იმუქრება. უბრალოდ, ველოდები, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს სიგიჟე, იმიტომ, რომ არც ერთი ნაბიჯი, რასაც ჩვენ ვხედავთ პოლიტიკოსების მხრიდან, დეპოლარიზაციას ხელს არ და ვერ შეუწყობს. პირიქით, ეწინააღმდეგება კიდეც მას.

– კონტროლს კარგავს პროცესებზე „ოცნება“ და აღარ იციან რა ქნან? მოვისმინეთ შეფასება, რომ განათლების მინისტრიც იმიტომ შეცვალეს, რომ მძიმე ხელი სჭირდებათ, რათა სტუდენტებს ჭკუა ასწავლონ. ამით უფრო დიდ შეცდომას ხომ არ უშვებენ?

– მე მგონია, რომ მათ დიდი შეცდომა დაუშვეს ის, რომ რეპუტაცია დაკარგეს ადამიანების თვალში. მათ თვითონ საკუთარი ნებით დაუჭირეს მხარი პრორუსულ კანონს და ის, რომ ეს უკან წაიღეს, არ ნიშნავს იმას, რომ მათ ეს გადაიფიქრეს.

– საუბარია, თითქოს კიდევ აპირებენ კანონის შემოგდებას. ამას გულისხმობთ?

– მე ზოგადად ვგულისხმობ მათ დამოკიდებულებას ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით, ქვეყნის ორიენტაციასთან დაკავშირებით. ზოგადად არაფერი არ ეტყობათ, რომ გაიაზრეს მათ ის შეცდომა, რაც ამ კანონის მიღების მცდელობით იყო გამოწვეული. დღეს ისინი შეუსაბამოდ იქცევიან და კიდევ ცდილობენ, რომ გაამწვავონ სიტუაცია.

– დასავლეთიდანაც საკმაოდ სერიოზულ კრიტიკას ვისმენთ. ვენეციის კომისიამ უკან გამოუგზავნა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი შენიშვნებით და მეორე მოსმენაზე დააბრუნეს უკან, ხუთ პუნქტს შევცვლით და შესწორებებს შევიტანთო. რას ელოდებით?

– მე ველოდები, რომ ეს არ იქნება საკმარისი ღონისძიება, რასაც ახლა „ქართული ოცნება“ აკეთებს და მათ არ ჩაეთვლებათ ასეთი ქმედებები საპატიოდ, ის რაც ცოტა ხნის წინ ჩაიდინეს. ჩემი აზრით, ახლა საერთოდ სხვა რამეა გასაკეთებელი და ზოგადად კანონპროექტების მიღება და უკან გაწვევა კი არ არის აქ მთავარი, აქ მთავარია დამოკიდებულება, ცხადად პოზიციის დაფიქსირება თუ ვისკენ ხარ. რაც ამდენი ხნის განმავლობაში „ქართულ ოცნებას“ არ გამოუვიდა და ბოლოს გამოუვიდა ისე, რომ რუსულ კანონს დაუჭირეს მხარი.

– ვისკენ ხარო და გამოდის, რომ რუსეთისკენ არის დღეს „ქართული ოცნება“?

– „ქართულმა ოცნებამ“ თვითონ დაუჭირა მხარი პრორუსულ კანონს. მე ვიცნობ ჩემს კოლეგებს და ისინი პრორუსები და პუტინის მოყვარულები არ არიან, მაგრამ პოლიტიკური ორიენტაციით რაც აირჩიეს, ამას მთელი სამყარო ამბობს და მე დავადასტურებ თუ უარვყოფ, ამას არა აქვს მნიშვნელობა.

– რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ შეესაძლოა უმრავლესობა დაიშალოს?

– არ მგონია, რომ უმრავლესობა დაიშალოს. „ქართული ოცნება“ კარგად არის შეკრული იმ თვალსაზრისით, რომ მათ სპეციფიკური ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. მე არ ვიცი ამ ურთიერთობების შინაარსი, მაგრამ ცხადია, ეს ჯანსაღი პოლიტიკური ურთიერთობები არ არის და „ქართული ოცნების“ დეპუტატები აქ მოღვაწეობენ როგორც არა პოლიტიკოსები, არამედ, როგორც დასაქმებულები „ქართულ ოცნებაში“. ეს ისეთი ფაქტორია, რომელიც შენ არაფრის პროგნოზის გაკეთების საშუალებას არ გაძლევს და მათ შორის დაშლა, არაფერ შუაში არ არის. პოლიტიკოსები შეიძლება დაიშალონ და წავიდნენ, მაგრამ შენი დასაქმებულები, როდესაც შენ მათი დამსაქმებელი ხარ და თვითონაც არ თვლის, რომ ხალხის რჩეულია, მაშინ იქ სულ სხვა რამე მოქმედებს და სხვანაირად ფუნქციონირებს სტიმულები.

– ვადამდელი არჩევნების თემა შემოაგდო ოპოზიციის ერთმა ნაწილმა. ყოფილი პრეზიდენტის, მარგველაშვილის შეფასებებიც მოვისმინეთ. რამდენად არის ახლა სიტუაცია ვადამდელი არჩევნების ჩატარების, მით უმეტეს, თუ ძველი სისტემით ჩატარდება?

– მე მგონი, სიტუაციას მნიშვნელობა არა აქვს საპარლამენტო დემოკრატიაში, როცა პოლიტიკური კრიზისია, ვადამდელი არჩევნები სიტუაციის განმუხტვის ყველაზე გასაგები გზა არის. გასაგებია ის არგუმენტი, რომ ერთწლიანი პარლამენტი იქნება არჩევნების ჩატარების შემთხვევაში. ჩემი აზრით, ჯობია, ჩვენ ერთწლიანი პარლამენტი გვქონდეს, ვიდრე ხელისუფლებაში, ევროინტეგრაციის პროცესში გვყავდეს ის ძალა, რომელზეც მთელმა სამყარომ იცის, რომ პრორუსულ კანონს დაუჭირეს მხარი. ეს იმდენად გარისკვაა, რომ მიუხედავად იმისა, ახლა არჩევნებისთვის არავინაა მზად, განსაკუთრებით ოპოზიციაში და არც ხელისუფლებაში, ამ ყველაფრის მიუხედავად, აღნიშნული სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია. არ მჯერა, რომ ოპოზიციას აწყობდეს ეს, ხელისუფლებას რომ არ აწყობს, გასაგებია. თუ ვინმე არის არჩევნებისთვის ყველაზე მეტად მომზადებული, ჩვენ ვართ. დანარჩენებს საერთოდ არ უფიქრიათ არაფერზე, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ ქოც-ნაცურ ჩხუბში. ამიტომ მე არ მჯერა, რომ ამას მხარს დაუჭერენ, მაგრამ თუ ეს არ არის სრულიად ოპოზიციის მოთხოვნა, მინიმუმ ბარიერის დაწევის და საკონსტიტუციო ცვლილების მოთხოვნა მაინც უნდა იყოს. ამის ნაცვლად დღეს საერთოდ არ დადის ოპოზიცია პარლამენტში, დღეს ნაცები არსად არ იყვნენ.

– რატომ არ შემოვიდნენ სხდომაზე?

– ჩემი აზრით, ეს ქოცებთან შეთანხმებით მოხდა. მე ვერ დავიჯერებ, ნაცმოძრაობაში ყველა ისეთი სულელია, რომ არ ესმოდეს, ახლა რამდენად მნიშვნელოვანია, „ქართული ოცნებისთვის“ არ მიგვეცა საშუალება, მარტო ყოფილიყო პარლამენტში და გაემხნევებინათ ერთმანეთი. მორალურად ძალიან დამძიმებული შემოვიდნენ დღეს ისინი პარლამენტის დარბაზში. ის, რომ სამხედრო კანონზე მსჯელობის უფლება მისცეს, რაც ახალგაზრდებისთვის სადამსჯელო კანონია და ამ დროს მარტო შეგვატოვეს ხელისუფლებას, მხოლოდ ჩვენ გავაპროტესტეთ, ეს ყველაზე დიდი ქოცური საქციელი.

– ხელი შეუწყო ნაცმოძრაობამ „ოცნებას“, რომ პოზიციები გაემყარებინათ?

– მე მგონია, რომ ეს მათი შეთანხმებით მოხდა.

– ვადამდელ არჩევნებს ემხრობით და თუკი ვადამდელი არჩევნები იქნება და ეს ხელისუფლება წავა, მეტი შანსი გვექნება კანდიდატის სტატუსის?

– შესაძლოა, ვადამდელის შედეგად ისევ „ქართული ოცნება“ იყოს, ეს წინასწარ არავინ ვიცით, მაგრამ ზოგადად აი ამ სირცხვილს ჩამოვირეცხავთ, რასაც რუსული კანონის მხარდაჭერა ჰქვია და ასე დამძიმებული არ შევალთ სალაპარაკოდ პარტნიორებთან.

„შენ ენა გააჩერე... წესიერად ილაპარაკე... შე ავადმყოფო“ — ხათუნა სამნიძე დაჩი ბერაიას

პარლამენტში სხდომა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის სიტყვიერი დაპირისპირება პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის გაცხადებას მოყვა, რომელმაც სტუდენტების დისკრედიტაცია სცადა და მათ პროტესტს „ნაყიდი პროტესტი“ უწოდა.

ამის შემდეგ ოპოზიციამ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა და უთხრა, რომ მან საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს.

სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა დეპუტატ ხათუნა სამნიძესა და ირაკლი-დაჩი ბერაიას შორის. ბერაიამ სამნიძეს ჰკითხა, რაში იღებდა ის ფულს:

– შენ ენა გააჩერე, ეს არ უკადრებია ჩემთვის არავის, რა ფული ავიღე.... წესიერად ილაპარაკე, ფულს რაში იღებო რომ იძახი შე ავადმყოფო, პატარა კაცი ეს, საცოდავი, ფულს რაში იღებ შე საცოდავო, დეკლარაციები დადე, მე არ მიდევს დეკლარაციები? პატარა კაცო შენ, ხელფასს რაში ვიღებ, არ იცი? ვინ ღალატობს ქვეყანას, შე ავადმყოფო, ავადმყოფო ოროსანო, წიგნი წაიკითხე, – უთხრა ხათუნა სამნიძემ ირაკლი-დაჩი ბერაიას.

სიტყვიერი დაპირისპირება იყო ენმ-ს დეპუტატს ხატია დეკანოიძესა და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს შორისაც. პარლამენტის თავმჯდომარეს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმაც.

„შენ როგორ უნდა იბრძოლო თუ ხარ გამოშტერებული...“ — მეუფე სტეფანე ახალგაზრდებს მიმართავს



მეუფე სტეფანე ქადაგებისას აცხადებს:

– ჩვენ პატარა ერი ვართ. ერთმანეთისადმი სიყვარული გვაქვს და ეს უნდათ დაანგრიონ. შემოაქვთ გაურკვეველი იდეები და სურთ ჩვენი ახალგაზრდები ამით დაგვიპირისპირონ და ეს დამღუპველია. ჩვენ წავალთ და მათთვის დარჩება ეს მოსაგონებლად. რომ ვეუბნებით, ნუ იზამთ ამას, მათი მტრები არ ვართ, ჩვენ გამოცდილება გვაქვს. იმ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შევალიეთ ზოგმა სისხლი და ზოგმა ჯანმრთელობა. „მოლოტოვის კოქტეილები“ რომ გვესროლა, ბრდღვნა არ დარჩებოდა საქართველოდან. დღეს მშობლები გიფარავენ და დადგებით და ისეთ რამეს აკეთებთ, რომ საშინელებას დამართებთ ქვეყანას. ვიღაცა გარედან რომ გეუბნება რაღაცას და გეუბნება, მიდი, მიაწექი, შენ ქვეყანას უნდა მიაწვე? დაიწყეს მასწავლებლების გამოყრა აუდიტორიებიდან ვიღაცების აქნეული თითებით. კომკავშირელები ნუ ვიქნებით, ვიყოთ ქართველი ახალგაზრდები. ნარკოტიკებს რომ გიყრიან ასე, რომ გამოგაშტეროს. შენ როგორ უნდა იბრძოლო თუ ხარ გამოშტერებული? თავისუფლებას ეძახი იმას, რომ აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევი და ამაში გინდა ჩააგდო ქვეყანა, როდესაც ქვეყანა სულ სხვა რამისთვის იბრძვის. რომ ამბობენ გავიღვიძოთო, გავიღვიძოთ უნდა ჩვენი ქვეყნისთვის. რასაც თავს გვახვევენ, ეს ევროპა არ არის, ეს არის ევროპის დეგრადაცია. როცა მოგვეპრიანება შევვარდებით პარლამენტში და თავზე ვამხობთ იქაურობას და ეს არის თავისუფლება? ხელისუფლება ვერასდროს იქნება კარგი. თუ გინდათ ხელისუფლებამ სასუფეველი ჩამოაყალიბოს ქვეყანაში, ასეთი ხელისუფლება არ იქნება.

პრემიერი: „ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის მთავარი საზრუნავი და ჩვენი ხალხის დაკვეთა არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და ჩვენი ქვეყნის გადარჩენა“

– ჩვენ დღითიდღე ვუყურებთ უფრო მეტ კონფრონტაციას, დაძაბულობას და ესკალაციას. ამ პირობებში ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის მთავარი საზრუნავი და ჩვენი ხალხის დაკვეთა არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და ჩვენი ქვეყნის გადარჩენა, – ამის შესახებ პრემიერმა ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც პუტინთან დაკავშირებით ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილებას შეეხებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ამაზე ისაუბრეს და განმარტებები გააკეთეს გუნდის წევრებმა.

– ამის თაობაზე გუნდის წევრებმა გააკეთეს განმარტება და განცხადებები. დღეს მსოფლიო, მთელი სამყარო დგას მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე. ეს შეფასება არ არის გადაჭარბებული, ეს არ არის სპეკულაცია. ჩვენ დღითიდღე ვუყურებთ უფრო მეტ კონფრონტაციას, დაძაბულობას და ესკალაციას. ამ პირობებში ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის მთავარი საზრუნავი და ჩვენი ხალხის დაკვეთა არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და ჩვენი ქვეყნის გადარჩენა, – აღნიშნა პრემიერმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მარგველაშვილი ავტორიტეტია ოპოზიციაში, გახარია რთული ამოცანის წინაშეა“

სოსო ცინცაძე: „დღეს ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ოპოზიციის მხრიდან, დამღუპველია“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, პარლამენტში დავით უსუფაშვილმა „ოცნებას“ მიმართა, თუ რუსულ კანონპროექტს დაუბრუნდებით, ასით ნულს წააგებთო. შეიძლება „აგენტების შესახებ“ კანონს დაუბრუნდეს „ოცნება“?

— კი, შეიძლება. ალბათ მოდერნიზებულ ვარიანტს შესთავაზებენ, სხვა სახელით, უფრო არახმაურიანი სახელწოდებით. თუმცა, ახლა გამორიცხულია. ცხელ გულზე ეს დაუშვებელია. ალბათ, უფრო ზაფხულის შემდეგ, შემოდგომისთვის მიიღებენ. რატომღაც მგონია, რომ ამ კანონს მიიღებენ. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ საგარეო პროცესებმაც იქონიოს გავლენა. პუტინის დაკავების ორდერმა, ომის მსვლელობამ და ა.შ.

— ეს პროცესები რეალურად ჩვენს საშინაო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს?

— რასაკვირველია, ახდენს. ფონს ქმნის. მით უფრო, როდესაც ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პროცესები ასეთი არამყარია, მყიფეა. ასეთ დროს, მით უფრო, როდესაც საქმე საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას ეხება, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები აუცილებლად ახდენს გავლენას. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ხელისუფლების, რამდენადაც ოპოზიციის ფაქტორს, მაგრამ ოპოზიცია ჩვენთან ძალიან სუსტია. ვერა და ვერ შეძლეს ერთი იდეის გარშემო გაერთიანება. არათუ გაერთიანება ვერ შეძლეს, ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებითაც კი არა აქვთ ჩამოყალიბებული და შეთანხმებული პოზიცია. ნაწილი ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, მეორე ნაწილი — არა. მესამე ნაწილი კიდევ რას ითხოვს, ღმერთმა იცის. გაურკვეველი ვითარებაა.

ისე, მე თუ მკითხავთ, დღეს ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ოპოზიციის მხრიდან, დამღუპველია. ასეთი მოუმზადებელი ოპოზიცია თითქმის არ მახსოვს. არსებული საარჩევნო სისტემით გამარჯვებას, ისევ „ოცნება“ მოიპოვებს.

— ოპოზიციის გაერთიანებაზე საუბრობდით. რამდენად შეძლებენ?

— ძალიან რთული წარმოსადგენია. თურქეთის ისტორიაში პირველად მოხდა ოპოზიციის გაერთიანება. თურქეთში ოპოზიცია ერთი, საერთო კანდიდატის ირგვლივ გაერთიანდა. ეს ძალიან საინტერესოა და მაგალითი უნდა იყოს ჩვენი ოპოზიციისთვის. ძალიან საინტერესო იდეით გამოვიდა გიორგი მარგველაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, ოპოზიციის ლიდერებთან კონსულტაციებს ატარებს.

— რამდენად გამოუვა?

— მარგველაშვილი უდავოდ არის ავტორიტეტი. ის ნომერ პირველი ინტელექტუალია ოპოზიციაში. ინტელექტუალური სიმწირის ჟამს, მისი ინტელექტი შეუფასებელია. მახსოვს, რა როლი შეიტანა 2012 წლის გამარჯვებაში. მარგველაშვილი ოპოზიციური ტელევიზიებიდან, რომელიც ერთი-ორი იყო მაშინ, საზოგადოებას დემოკრატიის მოკლე კურსს უკითხავდა. მისმა გამოსვლებმა გადამწყვეტი როლი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი ნამდვილად იქონია.

ახლა თუ უფრო მეტად გააქტიურდება, ეს კარგი იქნება და მხოლოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის მომავალს.

— რას იტყვით მის განცხადებაზე — მინუს მერაბიშვილი და გახარია.

— ეს მისი პოზიციაა. ალბათ საზოგადოებრივი განწყობებიდან გამომდინარე. მარგველაშვილი არის პოლიტიკოსი, რომელსაც ვერაფერს ვერ წამოაძახებენ, ამას პოლიტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ის გამაერთიანებელ ფიგურად იქცეს. ლიდერი გახდეს. თუმცა, აქ მთავარია, მან მოინდომოს. მოუნდეს პოლიტიკური აქტიურობა.

რაც შეეხება მერაბიშვილს, ის საჯარო ფიგურა არასდროს ყოფილა. მას შეუძლია კულისებში მუშაობა. ის კარგი მენეჯერია. რომელ პარტიაშიც იქნება, იმ პარტიას გამოადგება.

რაც შეეხება გახარიას, გახარია რეზერვია. მას მოუწევს მუშაობა, რომ საბედისწერო ღამე დაავიწყოს ხალხს, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ისეთი, რომ ეს შეძლოს?! ძალიან რთული სათქმელია. ეს შეუძლებელი იქნება. შეუძლებელი იქნება იმ ადამიანებისთვის მაინც, ვინც მხედველობა დაკარგეს. გახარიასთვის ეს დიდი ტვირთია. თუმცა, შეუძლია ტვირთი შეიმსუბუქოს. თუ მას აქვს სამომავლოდ ლიდერობის სურვილი, უნდა ისაუბროს. ხალხს სიმართლე გულწრფელად უნდა უთხრას. მერე გადაწყვეტილებას ხალხი მიიღებს. თუ ფიქრობს, რომ ისე შეძლებს ლიდერობას, რომ იმ საბედისწერო ღამეზე არაფერს არ ილაპარაკებს, არ იტყვის, რომ ის მხოლოდ შემსრულებელი იყო ბრძანების ან ისე, როგორც სინამდვილეში იყო, მაშინ არაფერი გამოვა. შეიძლება ფიქრობს, იმდენ კარგ საქმეს გააკეთებს, რომ ნეგატივს გადაფარავს, ეს ტყუილი ფიქრებია. მას ორი მიმართულებით ჰყავს მოწინააღმდეგე, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია. მე ვიტყოდი, გახარია რთული ამოცანის წინაშე დგას. თუ რამეს აპირებს, მაშინ ჯობია, დასწრებაზე ითამაშოს და „ქართულ ოცნებას“ დაასწროს, რომ ისინი გადაიყვანოს თავის მართლების რეჟიმში და არა პირიქით.

— ისე არ გამოვა, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური?

— დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ.



„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

„ქართულ ოცნებაში“ კრიზისია. შიგნიდან ძალიან ცუდი ამბები გამოდის“

პაატა დავითაია: „ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ როგორც პუტინზე გამოცხადდა სანქციები, ისე ჩვენც მოვისმინოთ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ პირებზე სანქციები“

ნონა ცაბაძე

— ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? თქვენ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევით და ამიტომ განათლების მინისტრის ცვლილებით დავიწყოთ საუბარი. ვისმენთ შეფასებებს, რომ ამილახვარი ეს არის მძიმე ხელი განათლების სისტემაში, რომ სერიოზული კრიზისი დაუდგა „ქართულ ოცნებას“. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერზე?

— ეტყობა, მმართველმა გუნდმა მომხდარიდან ასეთი ანალიზი გამოიტანა, რომ ის, რაც მოხდა და სტუდენტების მასობრივად გამოსვლა, მინისტრის ბრალია. რაც სრული აბსურდია. რა შუაშია აქ განათლების მინისტრი?! საზოგადოება და სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ იდეის გამო. იდეა კი მდგომარეობს იმაში, არ ყოფილიყო მიღებული საშინელი კანონი და მეორე, საფრთხე, რომელიც გაჩნდა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით. აი სწორედ ამის გამო გამოვიდა მოსახლეობა. ხელისუფლებამ, ეტყობა, გააკეთა დასკვნა, რომ განათლების მინისტრის ბრალია. ასეთი საუბარი უკვე სერიოზული შეცდომაა. თუ ჩვენ შევხედავთ საზოგადოების აქტიურობას და მათ გამოსვლას, პირიქით, ჩვენ უნდა ვამაყობდეთ, რომ გვყავს ისეთი სტუდენტები, რომლებიც თავისუფლად აზროვნებენ, ჩვენ გვყავს სტუდენტები, რომლებიც ევროპისაკენ მიისწრაფიან. გვყავს სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ და არანაირ პოლიტიკურ თემებში არ ერთვებიან, დგანან ქვეყნის სადარაჯოზე, როდესაც ქვეყნის ვექტორს ექმნება პრობლემა. საამაყოა ასეთი სტუდენტები!

— რამდენად იქნება მცდელობა შანტაჟის, დაშინების?

— მსგავს მცდელობაზე ლაპარაკიც კი არ მინდა! გავიხსენოთ 1956 წელი, როდესაც საქართველოს სტუდენტები გამოვიდნენ კომუნისტური პარტიის პირობებში, სრული ტოტალიტარული რეჟიმის დროს. გამოვიდნენ, როდესაც მათ ღირსებას შეეხნენ. მეორედ გამოვიდნენ 1977 წელს, როდესაც სახელმწიფო ენას დაემუქრა საფრთხე. იმ რეჟიმმა ვერაფერი უქნა და უკან დაიხია. თქვენი გაზეთის მეშვეობით პირდაპირ ვეუბნები „ქართულ ოცნებას“ — თუ ისინი ასე ფიქრობენ, ცუდად ყოფილა ქვეყანაში საქმე და ძალიან მალე დამთავრდებიან. მინისტრის ცვლილება არ ნიშნავს, რომ რაღაც გამკაცრდება. ვერ გამკაცრდება. ძალიან ცუდი ინფორმაციები მოდის „ოცნებიდან“. არ აქვთ შიგნით საქმე კარგად.

— რას გულისხმობთ? საუბარია, რომ უმრავლესობა ეშლებათო. დეპუტატები პარლამენტს ტოვებენ.

— დღეს „ქართულ ოცნებას“ დიდი კრიზისი აქვს. არის ღირებულებათა კრიზისი „ქართულ ოცნებაში“. შიგნით ბევრია ისეთიც, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ქმედებებს და ეს უკვე ღიად ჩანს.

— სადამდე მიიყვანთ ეს კრიზისი? ბატონო პაატა, ასევე ითქვა ისიც, რომ კიდევ ერთხელ ეცდებიან ამ რუსული კანონის შემობრუნებას.

— თუ ამ კანონის შემობრუნებას ცდილობენ, მაშინ ხელისუფლებაში საერთოდ ჭკუა არ ჰქონია არავის. უკვე კითხვის ნიშნები გაჩნდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

— ბრძანეთ, რომ შიგნით სერიოზული კრიზისი აქვთ. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ განათლების მინისტრის ცვლილებებით შემოიფარგლებიან?

— განათლების მინისტრი, სწორედ რომ ყველაზე წარმატებული მინისტრი ჰყავდათ მთავრობაში. მის დროს არანაირი წნეხი უნივერსიტეტებში არ იყო და, პირიქით, ვითარდებოდა ყველაფერი, თუ სიმართლე გინდათ.

— წნეხი რომ არ იყო, სწორედ ამიტომ შეცვალეს.

— კარგით, მაშინ ვნახოთ, ახალი მინისტრი რას იზამს. როგორც კი დაიწყებს წნეხს, მაშინვე მიიღებს ადეკვატურ პასუხს. ეს ძალიან ბუნებრივი ამბავია. არ გამოვა სტუდენტებთან დაპირისპირება. ეს არავის არ გამოსვლია. კომუნისტურ პარტიას არ გამოუვიდა და არც ამათ გამოუვა. თუ მაგდენს ვერ ხვდებიან, რა გითხრათ აბა.

— საკმაოდ კრიტიკული განცხადებები მოდის დასავლეთიდან. ასევე საუბარია ახალ სანქციებზეც. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— სწორედ დღეს გახდა ცნობილი, რომ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს თემა, მოლდოვასა და საქართველოში, ოლიგარქიული მმართველობის გამო, გამოცხადდეს გარკვეული სანქციები. ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ როგორც პუტინზე გამოცხადდა სანქციები, ისე ჩვენც მოვისმინოთ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ პირებზე სანქციები.

— ივანიშვილთან დაკავშირებით?

— ივანიშვილიც და სხვა დანარჩენიც. ვისაც საჭიროდ ჩათვლიან.

— პუტინი ახსენეთ და კვირის ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ჰაგის სასამართლომ. რა გაგრძელება მოჰყვება ამ ყველაფერს?

— ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა მოხდა. აქ საუბარი არ არის იმაზე, პუტინს დააპატიმრებენ თუ არ დააპატიმრებენ. 123 ქვეყანაში პუტინი ვერ შევა. ის ბრალდებულია კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულსა და სამხედრო დანაშაულში, რაც არის უმძიმესი ბრალდება და არასოდეს არ გაუქმდება. ამას დაემატება საქართველოში წარმოებული საქმეებიც. იცით, რომ გამოძიება მიდის ამ კუთხით. ჩვენ ვხედავთ იმას, რომ ჰაგის პროკურატურას აქვს უფლებამოსილება, მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს. უნიკალური შემთხვევაა ეს, რადგან გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყანაა თავად რუსეთი, ამიტომ საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები სამართლებრივი კუთხითაც. ის, რომ პუტინი საერთაშორისო არენაზე ხდება მიუღებელი, გარდა ჩინეთისა და ირანისა, ეს უკვე მის პოლიტიკურ მკვლელობას ნიშნავს. ეს ნიშნავს შემდეგს, რომ ორი განვითარება ექნება ამ ამბავს. ერთი, თვითონ საზოგადოება აიძულებს პუტინს, წავიდეს ხელისუფლებიდან და იგივე ბედი გაიზიაროს, რაც მილოშევიჩმა. პუტინზე სანქცია, ეს არის დასაწყისი. იქნება სხვა სანქციებიც. მოვლენების განვითარების მეორე გზა კი ის არის, რომ პუტინმა უფრო განავითაროს ავტორიტარული რეჟიმი და ამითი საბრძოლო მოქმედებების თეატრი გაიზარდოს. ამის ალბათობაც დიდია. თუმცა, როგორც მე ვხედავ, მსოფლიო არ აპირებს უკან დაიხიოს პუტინის წინააღმდეგ და პუტინი პოლიტიკურად უკვე წაგებულია. ამ ფონზე საკმაოდ გამაფრთხილებელი განცხადებები მოდის ჩვენი ხელისუფლებისთვის. ეს უნდა გაითვალისწინონ. სერიოზულ რისკზე მიდის ივანიშვილი და ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

— ახლა ვადამდელი არჩევნების თემა შემოაგდეს. ვის ინტერესში შედის და რამდენად სწორია ახლა ვადამდელი არჩევნების ჩატარება?

— მე ვერ ვხედავ ამ ეტაპზე იმის შესაძლებლობას, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება. საკმაოდ სერიოზული თემაა, ეს დამოკიდებულია სარჩევნო კოდექსზე, სხვადასხვა ვარიაციებზე.

— არის დღეს ხელისუფლების ინტერესში, ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები?

— მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების ინტერესში ვადამდელი არჩევნების ჩატარება არ არის.

— რამდენად მოგებული დარჩება ოპოზიცია, თუკი მაინც ჩატარდება ვადამდელი არჩევნები?

— ეს ბევრ ნიუანსზეა დამოკიდებული, დამოკიდებულია ოპოზიციის გაერთიანებაზე.

— მარგველაშვილის ინიციატივას უკვე ბევრი გაემიჯნა.

— რა თქმა უნდა. მარგველაშვილის ინიციატივა თავშივე იყო დაღუპული. არ შეიძლება ტელევიზიით ასეთი განცხადებების კეთება. ამას ყველაფერს სჭირდება მუშაობა და მერე გაცხადება. არ შეიძლება ამოარჩიო პოლიტიკური პარტიები და ამასთან ვითანამშრომლებთ და ამასთან არაო, იძახო. რა არჩევნებიც არ უნდა იყოს, ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანობით. სხვა შანსი არ არის. რა განცხადებებიც გააკეთა მარგველაშვილმა, ჩემთვის ასეთი განცხადებები მიუღებელია. წინასწარ მარცხისთვისაა განწირული. ამ სიტუაციაში ცალ-ცალკე არჩევნებში გასვლა, ეს ნიშნავს წაგებას.

„ზელენსკიმ მშვიდობიანი გეგმა წარმოადგინა“

„მისი პირველი პუნქტია რუსეთის ჯარების გაყვანა უკრაინის მთელი ოკუპირებული ტერიტორიიდან“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინეთის ლიდერმა აგრესორ პუტინთან სამშვიდობო გეგმაზე იმსჯელა.

სი ცზინპინის წინადადებებს და განზრახვებს უკრაინაში ომის დამთავრების თაობაზე ანალიტიკოსები რამდენიმე დღის წინათაც სკეპტიკურად აფასებდნენ. მას შემდეგ, რაც გახმაურდა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა), პუტინი სხვა განზომილებაში აღმოჩნდა – მასთან ზავის დადება და რაიმე საერთაშორისო შეთანხმება თუ მოლაპარაკება, მისი გადაადგილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მოსკოვში პუტინს ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაპატიმრება არ ემუქრება. თეორიულად, ის შეიძლება ჩინეთშიც ჩავიდეს (ჩინეთი არ არის მიერთებული ამ სასამართლოს იურიდიულ აქტს), თუმცა, სამხრეთ აფრიკაში, ბრიკსის სამიტზე, ვეღარ წავა, ზავსაც ვერ გააფორმებს და ა. შ. რუსეთშიც ხვდებიან, რომ ამ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო მეთაურით რუსეთი უფრო მეტ იზოლაციაში მოექცევა. პუტინის ოპონენტების მონაცემებით, რუსეთში პუტინის შეცვლაზე ალაპარაკდნენ. მათი ინფორმაციით, შესაბამისი კანდიდატები არიან მედვედევი (უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე), სობიანინი (მოსკოვის მერი) და მიშუსტინი (ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარე). ადრე პუტინის შესაძლო მემკვიდრეებად სხვები სახელდებოდნენ.

რატომ არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა გეგმას წარმოადგენს ჩინეთის პირველი პირი? რატომ ატყდა პანიკა რუსეთში უკრაინიდან შესაძლო შეტევების გამო? ვის რატომ აბრალებს რუსეთი დივერსიას „ჩრდილოეთ

ნაკადის“ გაზსადენზე? – ამ საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა რუსეთიდან დევნილი პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკი.

– ჩვენ (უკრაინამ) ვივალდებულეთ, არ დავარტყათ რუსეთის ფედერაციას დასავლეთიდან მიღებული იარაღით. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოსკოვთან შენიშნეს უპილოტო თვითმფრინავები, ქალაქში კი ხდება საჰაერო თავდაცვის სისტემების განთავსება. რისთვის ემზადებიან რუსები?

– დასავლეთი არ არის რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმების წინააღმდეგი. ის დასავლეთის იარაღის გამოყენების წინააღმდეგია. უკრაინას საკუთარი საშუალებებიც აქვს.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც თავის თავს შეზღუდვებს არ უწესებს, დიდი ბრიტანეთია. გვახსოვს რიში სუნაკის გამოსვლა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე. მან განაცხადა, რომ ინგლისმა პირველმა გააგზავნა ტანკები (უკრაინაში) და პირველი გადასცემს შორ მანძილზე მოქმედ რაკეტებსა და თვითმფრინავებს. ინგლისური შორი მანძილის რაკეტები 700 და 1000 კილომეტრსაც კი წვდება. მათ შეუძლიათ დაფარონ რუსეთის მთელი ევროპული ნაწილის ტერიტორია, მოსკოვისა და პეტერბურგის ჩათვლით. მოსკოვში პანიკა სუნაკის ამ განცხადების შემდეგ დაიწყო.

– გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთის ლიდერი პუტინთან შეხვედრის შემდეგ აპირებს დალაპარაკებას ვოლოდიმირ ზელენსკისთან. არის შანსი, რომ უკრაინის პრეზიდენტი დაარწმუნებს სი ცზინპინს, არ გახდეს რუსეთის დამხმარე?

– სი ცზინპინმა გაამკაცრა თავისი ანტიამერიკული რიტორიკა. ცოტა ხნის წინ მან დიდ დიპლომატიურ წარმატებასაც მიაღწია საუდის არაბეთისა და ირანის შერიგების საქმეში. ესაა ძლიერი დარტყმა ისრაელის საგარეო პოლიტიკისათვის.

ყოველთვის ვამბობდი – ჩინეთი თავს შეიკავებს რუსეთისთვის შეიარაღების მიწოდებაზე. სი ამაზე არასდროს წავა. აშშ-ისა და ჩინეთის ეკონომიკა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ პეკინი ზომას გადავა, ვაშინგტონიც იმოქმედებს. ამერიკელები მზად არიან, პრობლემები შეუქმნან საკუთარ ეკონომიკას, ოღონდ ეს არ დაუშვან. ამერიკის ეკონომიკას ამ ზომებით პრობლემები შეექმნება, ჩინეთის ეკონომიკა კი შეიძლება სულ დაინგრეს.

– რაზე შეიძლება ელაპარაკოს სი ცზინპინი ზელენსკის პუტინის შემდეგ?

– ჩვენ ამით არც უნდა დავინტერესდეთ. არსებობს უკრაინის პოზიცია, რომელსაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო საზოგადოებამ. ეს პოზიცია გამაგრებულია დიდი შვიდეულის

12 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის განცხადებებში. ეს არის ზელენსკის 4-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა. პირველი პუნქტია რუსეთის ჯარების სრული გაყვანა უკრაინის მთელი ოკუპირებული ტერიტორიიდან. ესაა ომი დამოუკიდებლობისათვის, რომელიც 600 წელიწადია გრძელდება. მისი ბედი ბრძოლის ველზე გადაწყდება.

– რუსეთში არ სჯერათ, რომ „ჩრდილოეთის ნაკადზე“ თავდასხმა უკრაინელმა დივერსანტებმა განახორციელეს. პატრუშევმა აღნიშნა, რომ უკრაინელებს აქედან სარგებელი არ ჰქონდათ. რაზე მეტყველებს პატრუშევის ეს განცხადება?

– გაზსადენი რუსებმა ააფეთქეს. ეს მაშინ გააკეთეს, როცა რუსეთს ჰქონდა მთელი ევროპის გაყინვის იდეაფიქსი. შემდეგ რუსები სხვადასხვა ვერსიას იგონებდნენ და იწონებდნენ. ჩლუნგმა კომუნისტმა ხერშმა წამოსწია ვერსია, რომ ეს ამერიკელების ნამოქმედარია. სხვებმა ეს უკრაინელებს დააბრალეს. უგუნური პატრუშევი, როგორც ძველი საბჭოთა ჩეკისტი, ყველაფერს ამერიკას აბრალებს. ამიტომ აკეთებს ასეთ განცხადებებს.

პრემიერ-მინისტრმა მარნეულში აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მარნეულში აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

– მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ნოვრუზ ბაირამს ვულოცავ ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებს, ჩვენს ეთნიკურ აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს, ჩვენს ძმებს ყველგან, ჩვენს მოძმე აზერბაიჯანში, თურქეთში, ყველგან. ყველას მინდა მივულოცო დღევანდელი დღე, ვუსურვო მშვიდობა ჩვენს მოქალაქეებს, კეთილდღეობა, მეტი ბარაქა, მეტი სიხარული, სტაბილურობა და ყველაფერი საუკეთესო ჩვენს ხალხს. ეს მინდა ვუსურვო ჩვენს თანამოქალაქეებს. მინდა დავუდასტურო ჩემი დიდი პატივისცემა და სიყვარული ჩვენს აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს, ძალიან მშრომელ ხალხს, ძალიან გონიერ ხალხს და მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ დღევანდელი დღე არის სიმბოლური იმითაც, რომ დღევანდელი დღე უკავშირდება მშვიდობას, კეთილდღეობას, სიხარულს, ყოველივე საუკეთესოს, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება და ჩვენს ხალხს სჭირდება, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაური ნოვრუზ ბაირამისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრო.

პრემიერმა დღესასწაულთან დაკავშირებით მარნეულის ცენტრალურ ქუჩაზე მოწყობილი სივრცე დაათვალიერა, სადაც განთავსებული იყო ეთნოკუთხე, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ასევე გაიმართა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები. პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას გაესაუბრა და მარნეულის ცენტრში სიმბოლური კოცონი აანთო.

მარნეულში გამართულ ღონისძიებას პრემიერთან ერთად დაესწრნენ შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი დოხტურიშვილი, მარნეულის მერი კენან ომაროვი, მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძე, დეპუტატები ზაურ დარგალი და სავალან მირზოევი, აზერბაიჯანის ელჩი ფაიგ გულიევი და კომპანია „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის პრეზიდენტი მახირ მამედოვი.

გიული ალასანია: „იყო 64, ახლა 62 კილოა... გუშინწინ იყო, მგონი, გული რომ წაუვიდა“

გიული ალასანიას თქმით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კატასტროფულია:

– ჯანმრთელობის მდგომარეობა, მე რომ მკითხოთ, კატასტროფულია, კიდე დაუკლია და 62 კილოა. უკანასკნელი ჩემი ინფორმაციით იყო 64, ახლა 62 კილოა. დილიდან დღის პირველი ნახევარი არის ხოლმე რთული. სისუსტე აქვს საშინელი, გუშინწინ იყო მგონი, გული რომ წაუვიდა, ეს ყველაფერი წონის გამოა.

მამუკა მდინარაძე: „სამხარაძის ბულინგს თავი დაანებეთ“

– ნება მომეცით, თქვენი კითხვაც შევაფასო, იმიტომ, რომ მე ჩემი აზრი გამიჩნდა ამასთან დაკავშირებით. თქვენ გნებავთ, „ნაცმოძრაობის მედია“ რას ალაგებს, თქვენ გნებავთ, რომ იყოს ბულინგი „ქართული ოცნების“ დეპუტატებზე, მათი ოჯახის წევრებზე, არასრულწლოვან შვილებზე, მათ მომხრეებზე, მაგრამ, როგორც კი ვინმე გაბედავს საპასუხო მსგავსი რეაქცია ჰქონდეს, ის დააბულინგოთ, მათ შორის დეპუტატი, რომელიც საპასუხო რეაქციის საფუძვლად შეიძლება ვერც კი ყვებოდეს. როდესაც თქვენ არ იმჩნევთ იმ ფაშიზმსა და ბოლშევიზმს, რომელიც ენმ-ის, მისი აქტივისტების მხრიდან მოდის და იმჩნევთ მხოლოდ ამაზე საპასუხო რეაქციას, ეს არის ორმაგი სტანდარტის უიშვიათესი გამოვლინება, ამიტომ გპასუხობთ ასე. თუ შეიძლება, ახლა სამხარაძის ბულინგს თავი დაანებეთ, – თქვა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, მამუკა მდინარაძემ დეპუტატ დიტო სამხარაძეზე.

გიორგი ვაშაძე: „ხელი არ წაგიცდეთ და არ დააკავოთ მშვიდობიანი დემონსტრანტები“

სამი ოპოზიციური პარტია, „დროა, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „გირჩი-მეტი თავისუფლება“ ევროპარლამენტარების წერილს, რომლებმაც საქართველოს პრემიერს წერილით მიმართეს, საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურნენ.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, ხელი არ წაუცდეს და არ დააკავოს მშვიდობიანი დემონსტრანტები, რომლებმაც 7-9 მარტს რუსული კანონი გააპროტესტეს. გიორგი ვაშაძის თქმით, აღნიშნული საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე შეტევად იქნება აღქმული.

7-9 მარტს მოხდა მშვიდობიანი მანიფესტანტების უკანონო დარბევა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ამ ტექსტში მოცემულია, რომ არა მანიფესტანტები უნდა დაისაჯონ, არამედ ის ადამიანები, ვინც გასცა ბრძანება და ვინც დარბევა განახორციელა 7-9 მარტს მშვიდობიანი მომიტინგეების. ამიტომ, კიდევ ერთხელ მივმართავთ ღარიბაშვილს და ყველას, ხელი არ წაგიცდეთ არც ერთ მშვიდობიან მანიფესტანტზე, ეს იქნება აღქმული როგორც შეტევაზე, მათ შორის, საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე, – თქვა გიორგი ვაშაძემ.

შალვა პაპუაშვილი: „ყველას ვალდებულებაა, ამხილოთ ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც, როგორც აქტივისტი, შეგზავნილია აუდიტორიებში“

– იმის გამო, რაც თქვენ სტუდენტებს უთხარით, ნორმალურ ვითარებაში, ნორმალურ ქვეყანაში, პარლამენტის თავმჯდომარე ბოდიშს მოიხდიდა და გადადგებოდა, – ამ სიტყვებით მიმართა ოპოზიციონერმა დეპუტატმა არმაზ ახვლედიანმა პარლამენტის თავმჯდომარეს, შალვა პაპუაშვილს პლენარულ სხდომაზე და სტუდენტებთან მიმართებაში მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო გააკრიტიკა.

ახვლედიანის პასუხად, პაპუაშვილმა განაცხადა, რომ „პოლიტიკას არაფერი ესაქმება აუდიტორიაში“.

– ბატონო არმაზ, თქვენ გასული საუკუნის 30-იანი, თუ 20-იანი წლები გაიხსენეთ. თუკი რამე გვაგონებს ამას, ეს გვაგონებს. 100 წელია ეს საქართველოში არ მომხდარა, 100 წლის წინ მოხდა ბოლოს, როცა უნივერსიტეტში, თსუ-ში უგზავნიდნენ ტყავის ქურთუკიან, „მაუზერიან“ ახალგაზრდებს იმისთვის, რომ პროფესორები აუდიტორიებიდან გამოეყარათ. სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა თქვენს რიგებში, რომ ამას გამიჯვნოდა და ამის მიმართ პროტესტი ჰქონოდა. თუკი ვინმეს რამე პროტესტი აქვს, ვინმეს რამე აზრი აქვს, სწორედ ასეთი ქცევებით, ასეთი ნაყიდი პროტესტით, შეგზავნილი აქტივისტები აფუჭებენ აქტივიზმსაც, სამოქალაქო სითამამესაც და ა.შ. ამიტომ, რა თქმა უნდა, არათუ ვინმეს სათაკილო უნდა ჰქონდეს, ყველას ვალდებულებაა, ამხილოთ ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც, როგორც აქტივისტი, შეგზავნილია აუდიტორიებში, რომ ლექტორებს ობსტრუქცია მოუწყოს. არაფერი ესაქმება პოლიტიკურ აქტივიზმს აუდიტორიებში. მე თავად, წლები ვკითხულობდი ლექციებს, ბევრი თქვენგანი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხართ. ეთიკის პირველი საკითხია, რომ პოლიტიკას არაფერი ესაქმება აუდიტორიაში, როგორც ლექტორის მხრიდან, ისე სტუდენტის მხრიდან. ახალგაზრდობა არ არის გასასამართლებელი საბუთი არავისთვის, ყველა სრულწლოვანია და ყველას აქვს პასუხისმგებლობა...

როცა ნაყიდი პროტესტია, თავიდანვე თუ არ ითქვა, ძირშივე თუ არ გაჩერდა, სადამდე მიგვიყვანს, მერე გაიხსენეთ გასული საუკუნის 30-იანი წლები, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააპელაციო სასამართლომ დავით კეზერაშვილს 5 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ბრალდების საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და მას თავდაცვის სამინისტროსთვის ზიანის ასანაზღაურებლად 5 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა.

კეზერაშვილს ე.წ. წვრთნების საქმეზე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხის გაფლანგვას ედავებოდნენ. მასთან ერთად საქმეზე ბრალდებული იყო თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ალექსანდრე ნინუა. ნინუას ნაწილში მეორე ინსტანციის მოსამართლეთა კოლეგიამ სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს ალექსანდრე ნინუას სასარგებლოდ 5 000 ლარის გადახდა დაეკისრა, ნინუას მიერ სააპელაციო საჩივრისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში.

დავით კეზერაშვილის ადვოკატის, გიორგი მშვენიერაძის განცხადებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიმართ სამართალწარმოება დაიწყო იმ მიზნით, რომ პრობლემები შეექმნას ტელეკომპანია „ფორმულას", რომლის დამფუძნებელიც დავით კეზერაშვილია.

– როგორც ცნობილია, თავის დროზე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით კეზერაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ გაფლანგვის მუხლით, ხოლო ალექსანდრე ნინუასთან მიმართებით გამოყენებული იყო გულგრილობის მუხლი. შესაბამისად, მათ მიერ მიყენებული ზიანის სოლიდურობა სასამართლომ ამიტომ ვერ დაინახა. დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთადერთი, რისი გაკეთებაც კანონიერად შეეძლო, ეს იყო გაეუქმებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილება. როდესაც მოსარჩელე მხარე სასამართლოში მიდის და ამტკიცებს, რომ მეორე მხარეს მისთვის თანხა აქვს გადასახდელი ზიანის ასანაზღაურებლად, ის ვალდებულია მტკიცებულებები წარადგინოს, რომელიც ზიანის ოდენობას ადასტურებს.

არც უზენაეს სასამართლოს განაჩენში, რომელშიც პოლიტიკური მოტივებით, მაგრამ მსჯავრდებულად იქნა ცნობილი დავით კეზერაშვილი და არც რაიმე სხვა დოკუმენტში აღნიშნული არ არის, რა იყო ზიანი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს შესაძლოა მისდგომოდა ამ გამოგონილი დანაშაულის შედეგად. ამიტომ, ჩვენთვის გაუგებარი იყო, თბილისის საქალაქო სასამართლომ რაზე დაუფუძნა ეს კალკულაცია და რით დაადგინა რიცხვი 5 მილიონ ევროზე მეტი, რომელიც თავის დროზე გადასახდელად დააკისრა ორივე პირს. შესაბამისად, ჩემთვის დღესაც გაურკვეველია, რა პრინციპით იხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლომ, რა დოკუმენტს ეყრდნობა, როდესაც ადგენს, რომ დანაშაულის შედეგად გარკვეული ზიანი იქნა დადგენილი, – განაცხადა გიორგი მშვენიერაძემ.

შეგახსენებთ, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხის გაფლანგვის საქმეზე 2022 წლის მარტში, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, რის საფუძველზეც დავით კეზერაშვილს და ალექსანდრე ნინუას თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 5.060.000 ევროს გადახდა დააკისრა. დავით კეზერაშვილსა და ალექსანდრე ნინუას საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოს დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისება/გაფლანგვის ფაქტზე წარედგინათ ბრალი. საქმე ეხებოდა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია GIRWOOD BUSI#ESS CORP – ს სასარგებლოდ გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით დიდი ოდენობით თანხის გადარიცხვას, თუმცა სამინისტროს ეს მომსახურება – წვრთნები არ მიუღია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე დავით კეზერაშვილი და ალექსანდრე ნინუა ცნობილ იქნენ დამნაშავეებად. ამავე განაჩენით დადგინდა, რომ აღნიშნული პირების ბრალეული ქმედებით თავდაცვის სამინისტროს მიადგა 5.060.000 ევროს ოდენობით მატერიალური ზიანი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (როგორც დაზარალებულმა პირმა) აღნიშნული პირების მიმართ სამოქალაქო სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამინისტროზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 20 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა 20 პირის მიმართ დაიწყეს, რომელთაგან ერთი ყოფილი მოხელეა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2020-2021 წლებში, შიდა ქართლის რეგიონში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ცრუ მოწმეების დახმარებითა და ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად, საერთო ჯამში, 302.906 ლარის ღირებულების 44.396 მ2 ფართობის 10 მიწის ნაკვეთი მოტყუებით დაირეგისტრირეს.

– გამოძიების პროცესში მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები დაყადაღებულ იქნა. მათი სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე, 180-ე და 342-ე მუხლებით გრძელდება, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თავდასხმა „ტვ პირველის" ჟურნალისტზე – მოსამართლემ მოძალადე გაათავისუფლა

„ტვ პირველის" ჟურნალისტზე თავდამსხმელი მამუკა ანდღულაძე სააპელაციო სასამართლომ გაათავისუფლა. გადაწყვეტილება მოსამართლემ რამდენიმე წუთის წინ მიიღო. მოძალადე 3.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს.

შეგახსენებთ, რომ როდესაც „ტვ პირველის" ჟურნალისტი ნატო გოგელია მასთან კითხვების დასასმელად სახლში მივიდა, მამაკაცი მას ფიზიკურად გაუსწორდა და ის მობილური ტელეფონი დაუმტვრია, რომლითაც იღებდა.

მამუკა ანდღულაძე „ალტ ინფოს" რადიკალური მოძრაობის წევრია. სწორედ მან ჩამოგლიჯა პარლამენტის წინ ევროკავშირის დროშა და შემდეგ თანამოაზრეებს დასაწვავად გადასცა.

ანდღულაძეს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (ძალადობა), 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით) და 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობები აღკვეთილია

სარფის საბაჟოზე დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობები აღიკვეთა.

8-20 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი", კანონდარღვევის 5 ფაქტი აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 38.543,54 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს (საერთო ჯამში 403,58 გრამი) ნაკეთობები გამოვლინდა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ფულადი ჯარიმა ჯამში 38.543,54 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

„გვიან ღამით უკავშირდებიან და ატყობინებენ, რომ მომდევნო დილას უნდა გამოცხადდნენ სასამართლოში"

არასამთავრობო ორგანიზაციები „რუსული კანონის" საწინააღმდეგო აქციებზე დაკავებულებთან დაკავშირებით კიდევ ერთ განცხადებას ავრცელებენ და სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, აქციის მონაწილეების დაკითხვაზე დაბარებისას არსებულ დარღვევებზე საუბრობენ.

როგორც განცხადების ხელმომწერი ორგანიზაციები ამბობენ, კრიტიკას იმსახურებს სასამართლოს მიერ ამ დრომდე დაუსაბუთებლად მიღებული დადგენილებები და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის ჯარიმების შეფარდება. ამასთან ერთად, პროცედურულად სრულიად არაორგანიზებული სახით მიმდინარეობს ერთი მხრივ, სამინისტროს მიერ საქმეების სასამართლოში შეტანა და მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა.

მათივე განცხადებით, სამინისტროს წარმომადგენლები მოქალაქეებს გვიან ღამით უკავშირდებიან და ატყობინებენ, რომ მომდევნო დილას უნდა გამოცხადდნენ სასამართლოში ან მხოლოდ 1-2 საათით ადრე აწვდიან ამ ინფორმაციას.

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს, მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ ძალის გამოყენების პარალელურად, ადგილი ჰქონდა დემონსტრანტების მასობრივ უკანონო დაკავებას. იმის მიუხედავად, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დაკავებულების ადმინისტრაციული პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, მათთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი კვლავ დგას დღის წესრიგში. ამ დროისთვის არ დასრულებულა საქმეთა განხილვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო დემონსტრანტების წინააღმდეგ ეტაპობრივად წარადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს სასამართლოში.

გარდა იმისა, რომ კრიტიკას იმსახურებს სასამართლოს მიერ ამ დრომდე დაუსაბუთებლად მიღებული დადგენილებები და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის ჯარიმების შეფარდება, პროცედურულად სრულიად არაორგანიზებული სახით მიმდინარეობს ერთი მხრივ, სამინისტროს მიერ საქმეების სასამართლოში შეტანა და მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა.

უმეტესად, სამინისტროს წარმომადგენლები მოქალაქეებს გვიან ღამით უკავშირდებიან და ატყობინებენ, რომ მომდევნო დილას უნდა გამოცხადდნენ სასამართლოში ან მხოლოდ 1-2 საათით ადრე აწვდიან ამ ინფორმაციას. ამ დროს სასამართლოში საქმეთა განხილვაში მონაწილეობს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მორიგე მოსამართლე, რომლის ვინაობაც ხშირად უცნობია და მისი ვინაობის გაგების შემდეგაც კი შეუძლებელია სასამართლოს შემადგენლობისგან პროცესის გამართვის დროსთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება.

ამ პირობებში, ორგანიზაციების ადვოკატებს, რომლებიც ჩართულები არიან დაკავებული პირების უფლებების დაცვაში, დილიდან გვიან ღამემდე, სამუშაო პირობებისა და სივრცის არარსებობის ფონზე, უწევთ სასამართლოში უშედეგოდ ლოდინი ზოგჯერ რამდენიმე საათი, ზოგჯერ კი მთელი დღის განმავლობაში, რაც სრულიად გაუმართლებელია. ამ პირობებში შეუძლებელია მარწმუნებლის ეფექტიანი დაცვა, ასევე მოწმეთა და სხვა ტიპის მტკიცებულებების დროულად მოძიება და სასამართლოში წარდგენა.

ასევე, შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ ხშირად, მთელი დღის განმავლობაში მომლოდინე პირების და მათი ადვოკატების პროცესების სხვა დროისთვის გადადება ხდება, თუმცა, ამაზე სასამართლო მხარეებს ინფორმაციას მხოლოდ მთელი დღის ლოდინის შემდეგ, გვიან ღამით აწვდის, – ვკითხულობთ არასამთავრობოების განცხადებაში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ხელმომწერი ორგანიზაციები მოუწოდებენ:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

• ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების სასამართლოში წარდგენის თარიღი გონივრული ვადით ადრე აცნობოს მხარეებს;

• უზრუნველყონ საქმეში არსებული მასალების მხარეებისთვის დროულად, პროცესის დაწყებამდე გადაცემა.

სასამართლოს:

• ორგანიზებულად წარმართოს საქმეთა განხილვა, დროულად გასცეს ინფორმაცია სასამართლო პროცესის თარიღისა და დროის შესახებ და მხარეებს ადვოკატებთან ერთად მისცეს შესაძლებლობა სამუშაო საათების ფარგლებში მიიღონ პროცესებში მონაწილეობა;

• ადვოკატებს მისცეს შესაძლებლობა, სათანადო კომუნიკაცია ჰქონდეს მის მარწმუნებელთან, მათ შორის, დაუთმოს შესაბამისი სივრცე შეხვედრისთვის;

• მოქალაქეების შუამდგომლობის გათვალისწინებით, საქმეთა განხილვა გადადოს იმ ვადით, რაც საჭირო შეიძლება იყოს მხარისთვის სასარგებლო მტკიცებულებების მოძიებისა და მისი ეფექტიანი დაცვისთვის.

უკრაინაში ბრძოლები გრძელდება

უკრაინაში შეტაკებების ინტენსიურობამ იკლო. ეს განსაკუთრებით ბახმუტთან გამოჩნდა. როგორც ცნობილია, რუსების შეტევები აქ განსაკუთრებით გააფთრებულ ხასიათს ატარებდა.

ბახმუტთან რუსეთის არმიას ყუმბარები შემოელია. უკრაინელებმა ამით უმალ ისარგებლეს და ელვისებური კონტრშეტევა განახორციელეს. შედეგად მდინარე ბახმუტკის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი გათავისუფლდა. პარალელურად ოკუპანტებისაგან გაიწმინდა სტრატეგიული მნიშვნელობის გზები ბახმუტი – კონსტანტინოვკა და ბახმუტი – ჩასოვ იარი. ამრიგად, ქალაქთან მისასვლელი თითქმის ყველა გზა თავისუფალია.

ბახმუტის ანალოგიური ვითარებაა ავდეევკასთან. რუსი ოკუპანტები ჯიუტად მიისწრაფოდნენ ქალაქის ე.წ. „კოტიოლში“ მოქცევისაკენ. მათ ეს ვერ შეძლეს. ოკუპანტებმაც ტაქტიკა შეცვალეს. ახლა ისინი ავდეევკისათვის გვერდის ავლას ცდილობენ.

უკრაინელებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები მარინკასთანაც. რაც შეეხება უგლედარს ან შახტარსკს, აქ რუსების შეტევები უკანასკნელი დღეების განმავლობაში არ განხორციელებულა. მიზეზი მარტივია: ოკუპანტების რიგებში ყუმბარების და ტყვია–წამლის დეფიციტია.

საინტერესო ვითარება შეიქმნა დროებით ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიაზე ბერდიანსკში, მელიტოპოლში, აგრეთვე ხერსონის ოლქის იმ ნაწილში, რომელსაც რუსები აკონტროლებენ. ერთი მეორის მიყოლებით გაისმა მძლავრი აფეთქებები. შედეგად არაერთი უკრაინელი კოლაბორაციონისტი გამოეთხოვა სიცოცხლეს. ასე, მაგალითად, ნოვაია კახოვკაში განხორციელდა თავდასხმა ადგილობრივი ადმინისტრაციის თავკაცზე. ის მყვირალა გვარს გურუს ატარებდა. თავდასხმის შედეგად გურუ მოკვდა. მსგავსი გამოდგა ადგილობრივი საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი ოფიცრის ხვედრი. უკრაინელმა პარტიზანებმა ააფეთქეს მანქანა, რომელშიც ისხდნენ ხსენებული ოფიცერი, მის მეუღლე, რომელიც ასევე პოლიციის ოფიცერია, და მისი ქალიშვილი. აფეთქების შედეგად კოლაბორაციონისტი ადგილზევე დაიღუპა. მისმა ცოლმა მიიღო მძიმე ჭრილობა. ის ჰოსპიტალში გააქანეს. ექიმები მის გადარჩენას ამაოდ ცდილობდნენ. ქალი სიცოცხლეს გამოეთხოვა. რაც შეეხება ქალიშვილს, ის ასევე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა.

უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები ყირიმზეც. კერძოდ, დაიბომბა ჯანკოი. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

ცნობილმა სპორტსმენმა ნიანგი შეჭამა და ამის გაკეთება სხვებს არ ურჩია

ინდოეთის კრიკეტის კლუბ Royal Challengers Bangalore-ში მოასპარეზე ავსტრალიელმა სპორტსმენმა ელის პერიმ იმ ყველაზე უჩვეულო კერძზე ისაუბრა, რომლის დაგემოვნებაც მას მოუხდა.

იუთუბისთვის მიცემული ინტერვიუს დროს სპორტსმენი გოგონა პასუხობდა კითხვებს, რომლებიც მის ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხებოდა. ერთ-ერთი კითხვა კი სწორედ უცნაურ საჭმელზე დაუსვეს.

– ერთხელ ნიანგის ხორცი შევჭამე. ეს მეტად უცნაური იყო. სხვებს ამის გაკეთებას არ ვურჩევდი, – განაცხადა 32 წლის სპორტსმენმა.

ავსტრალიელი იმითაა ცნობილი, რომ დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს უთავსებდა პროფესიონალურ დონეზე კრიკეტსა და ფეხბურთში გამოსვლას, რასაც მწვრთნელებთან მრავალრიცხოვან სკანდალებამდე მიჰყავდა. ის მრავალი წლის განმავლობაში სპორტის ამ სახეობებში ავსტრალიის ორივე ნაკრებში გამოდიოდა, 2018 წელს კი საბოლოო არჩევანი კრიკეტის სასარგებლოდ გააკეთა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ახალგაზრდულმა ნაკრებმა თურქეთში მზადება დაიწყო

26 მარტს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლატვიის 21-წლამდელებს დაუპირისპირდება. მატჩს თურქეთის ქალაქ ბელეკის საფეხბურთო კომპლექსი „ბელისი“ უმასპინძლებს.

ჩვენებს ბულგარეთთანაც უნდა ეთამაშათ, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ეს მატჩი ტექნიკური მიზეზით გადაიდო.

რამაზ სვანაძის გუნდმა თურქული შეკრების ფარგლებში პირველი ვარჯიში ჩაატარა. ყველაზე ბოლოს გუნდს კაპიტანი გიორგი გულიაშვილი შეუერთდა, რომელმაც ორშაბათს ბოსნიის ჩემპიონატში ითამაშა.

საქართველო ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ლუკა კუტალაძე (დინამო თბ), თორნიკე მეგრელიშვილი (საბურთალო), ლევან თანდილაშვილი (თელავი);

მცველები: გიორგი მაისურაძე, საბა ხვადაგიანი, ალექსანდრე კალანდაძე (ყველა დინამო თბ), ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა, ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი (ყველა საბურთალო), მათე აბულაძე, გიორგი გვიშიანი (ორივე სამტრედია);

ნახევარმცველები: გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი (ორივე დინამო თბ), ბექა დარცმელია (ნიუკასლ ჯეთსი, ავსტრალია), ნოდარ ლომინაძე, ნიკა ხორხელი (ორივე სამგურალი), შოთა ნონიკაშვილი, გიზი მამაგეიშვილი (ორივე საბურთალო), გიორგი კვერნაძე (დინამო ბთ), ოთარ ფარულავა (დილა);

თავდამსხმელები: გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია), გიორგი გაგუა (რეალ უნიონი, ესპანეთი), გიორგი ლომთაძე (გაგრა).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

აშშ-მ უკრაინას დახმარების ახალი პაკეტი გამოუყო

აშშ-მ უკრაინას დახმარების ახალი პაკეტი გამოუყო. ამის თაობაზე იუწყება „რბკ-უკრაინა“.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბლინკენის სიტყვებით, ახალი პაკეტი ძირითადად ყუმბარებს და საბრძოლო მასალებს შეიცავს. ის 350 მილიონი დოლარის საბრძოლო მასალებს მოიცავს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი შეეხო მოსკოვში ჩინეთის ლიდერის სი ცზენპინის ვიზიტსაც. მან თქვა, რომ პეკინს სურს რუსეთ-უკრაინის ომში ერთგვარი მშვიდობის მტრედის როლი ითამაშოს.

ტრამპი დაპატიმრების მოლოდინში

აშშ-ის ექსპრეზიდენტს დონალდ ტრამპს ბრალი ედება ფინანსურ მაქინაციებში. ამის შესახებ განაცხადა „ამერიკის ხმამ“. ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ტრამპი შესაძლოა დააპატიმრონ.

– მე უდანაშაულო ვარ და მდევნიან იმიტომ, რომ დღეისათვის ყველაზე პოპულარული ამერიკელი პოლიტიკოსი ვარ, – აცხადებს ტრამპი.

ეს განსაზღვრა სინამდვილეს არ შეესაბამება. ტრამპის რეიტინგი მკვეთრად ჩამორჩება როგორც აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის ბაიდენის რეიტინგს, ასევე რესპუბლიკური პარტიის მეორე თვალსაჩინო ლიდერის დესანტისის პოზიციებს. მიუხედავად ამისა, ტრამპი ხალხს მიმართავს და დაცვას სთხოვს:

– მოვუწოდებ ამერიკელებს, რომ ჩემს დასაცავად ქუჩაში გამოვიდნენ, – აცხადებს ტრამპი.

დიალოგი ჩაიშალა

უკრაინის პრეზიდენტის ვლადიმერ ზელენსკის ოფისს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოს) დელეგაცია მიადგა. როგორც ცნობილია, უკრაინის მთავრობა მოითხოვს რუსული ეკლესიისაგან კიევო-პეჩორსკის ლავრის დაცლას. რუსები წინააღმდეგნი არიან.

ზელენსკი რუს მღვდელმთავრებთან სალაპარაკოდ არ გავიდა. დიალოგი ჩაიშალა.

სი ცზენპინი მოსკოვში ჩავიდა

ჩინეთის ლიდერი სი ცზენპინი მოსკოვში ჩავიდა. ამის თაობაზე იუწყება რტრ-ი.

ჩინეთის სახელმწიფოს მეთაური რუსეთის დიქტატორ პუტინს შეხვდა. ვიზიტი გაგრძელდება სამ დღეს. პუტინი სი ცზენპინთან შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებს.

– იქმნება ახალი მსოფლიო წესრიგი! რუსეთ-ჩინეთის ალიანსი ამაში უდიდეს როლს ითამაშებს, – აცხადებს პუტინი.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

მხოლოდ უკანასკნელი დღეების განმავლობაში უკრაინელებმა მტრის 120 შეტევა მოიგერიეს. რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.537, ბრონირებული მანქანები – 6.869, არტილერია – 2.577, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 270. განადგურებულია 166.000 ოკუპანტი,

ამერიკელთა ცნობით, რუსების დანაკარგი უკვე 250.000. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ რუსი ჯარისკაცების რიგებში მსხვერპლმა მასობრივი ხასიათი მიიღო, რაიმე სტრატეგიული გამარჯვების მიღწევა კი ოკუპანტებმა ვერ შეძლეს.

– პრეზიდენტის წინაშე ოფიციალურად დავსვი საკითხი უკრაინაში ტაქტიკური ხასიათის ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე, – აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ.

ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი სოლოვიოვი კი ამბობს, რომ ტაქტიკური ხასიათის ბირთვული იარაღი გამოყენებულ უნდა იქნას არა მხოლოდ უკრაინის, არამედ პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების და, რა თქმა უნდა, აშშ-ის წინააღმდეგაც.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

ნინო ანანიაშვილი 60 წლისაა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ეგვიპტეში, იტალიაში, ესპანეთში, ესტონეთში, ტაივანში, ეკვადორში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ბელარუსში. ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა ჰერალდ ენჯელსის პრესტიჟული ჯილდო დაიმსახურა.

პრემა ბალერინას სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე თბილისში მსოფლიოს ბალეტის ვარსკვლავების მონაწილეობით აღინიშნა.

ნინო ანანიაშვილს არაერთი საერთაშორისო საბალეტო კონკურსის ჟიურის წევრად და დამდგმელ ქორეოგრაფად იწვევენ მსოფლიოს სხვადასხვა თეატრში. იგი არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის კავალერი გახლავთ. დაჯილდოებულია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოთი „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“. ნინო ანანიაშვილი არის პირველი ბალერინა, რომელსაც ხელოვნებაში მიღწევებისათვის რუსეთის ეროვნული პრიზი „ტრიუმფი“ გადაეცა. ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა მას „წლის საუკეთესო ქალბატონის“ წოდება მიანიჭა. მიღებული აქვს საფრანგეთის სამეფო შტოს მემკვიდრის – პრინცესა მარია დე ბურბონის დაწესებული საერთაშორისო პრემია „ოქროს ქალღმერთი“, არის ჟურნალ „დენს მეგეზინის“ პრიზის მფლობელი. ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევისათვის ნინო ანანიაშვილი საქართველოში აირჩიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩად. იტალიის პრეზიდენტმა პრიმა-ბალერინა იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. პრიმა ბალერინას იაპონიის იმპერატორის ჯილდო – ლენტით დამშვენებული „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენი გადაეცა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ვერა გავარდა, ოლიმპი ისევ ლიდერია

ტიტები-ოლიმპი 87:93
(19:25; 31:22; 20:12; 17:34)

ტიტებს, ბოლოსწინა ადგილს რომ ასცდეს და სუპერლიგაში დასარჩენად საკვალიფიკაციო რაუნდში ა ლიგის ფინალისტთან გადათამაშება აიცილოს, ოლიმპთან უნდა მოეგო.

ოლიმპი სუპერლიგის ლიდერია და ბოლოსწინა ადგილზე მყოფ ტიტებთან ფავორიტადაც მიიჩნეოდა, მაგრამ ბოლო პერიოდის 11 ქულით წინ ბესიკ ლეჟავას განწირთნილი ტიტები იყო.

დალაგებული და გუნდური თამაშის წყალობით, ტიტებმა დიდებული მეორე და მესამე პერიოდები ჩაატარეს, რომლებიც შესაბამისად 31:22 და 20:12 მოიგეს. ოლიმპს ამ მატჩში დაუბრუნდა გუნდისა და სუპერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი, დრუ კუქსჰაუსენი, რომელმაც მანამდეც და ბოლო პერიოდშიც დავით როგავას გუნდს დიდად არგო. მისი ზუსტი სამქულიანებით და, რა თქმა უნდა, ლინტონ ესლაისის შედეგიანობით, ოლიმპმა ბოლო პერიოდის საწყის 4 წუთში გააბათილა 11-ქულიანი ჩამორჩენა და დაწინაურდა – 72:70.

ტიტები ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა იშტაზე მოსულ ოლიმპის წამყვან მოთამაშეებს – გიგი ბაქრაძეს, ლუკა კალატოზიშვილს და უკვე ნახსენებ ესლაისსა და კუქსჰაუსენს. ოლიმპელთა ლიდერობამ 10 ქულას მიაღწია და ტიტებს თამაშის გადასარჩენად აღარც დრო ჰქონდა და აღარც რესურსი. მატჩი სუპერლიგის ლიდერის გამარჯვებით – 93:87 დასრულდა. ეს გახლდათ ოლიმპის ზედიზედ მე-8 გამარჯვება სუპერლიგაში. ისე კი, ბოლო 15 მატჩიდან ოლიმპს 14 მოგება გააჩნია.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა ლინტონ ესლაისი, რომელმაც 32 ქულა, 10 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. კუქსჰაუსენმა თავი 20 ქულას მოუყარა, ხოლო გივი ბაქრაძისა და ობრი მაკალპინის ანგარიშზე 10-10 ქულა დაგროვდა. ტიტებში 25 ქულითა და 7 პასით საუკეთესო იყო კენდრიკ ტომპსონი. დარიუს ბელმა და სანდრო სანაძემ 18-18 ქულა დააგროვეს.

ქუთაისი-ხუსთავი 80:89
(20:19; 21:22; 22:25; 17:23)

სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერი, მე-2 ადგილზე მყოფი რუსთავი ქუთაისში ჩავიდა, სადაც კოტე ტუღუშის გაწვრთნილი გუნდის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. თუმცა, რუსთაველებმა იმერეთიდან გამარჯვება მაინც წაიღეს. ანატოლი ბოისას გაწვრთნილი გუნდი პროგრესირებს და ჩემპიონობის მოწინავე ფავორიტად ყალიბდება. მოქმედი ჩემპიონი ქუთაისი კი ვერა და ვერ დადგა გამარჯვების რელსებზე. კახა ჯინჭარაძის შემატებით იმერულმა კლუბმა სოლიდური შევსება მიიღო, მაგრამ გუნდს ბირთვის სეზონის დასაწყისიდან არ მოჰყვება, მასშტაბური როტაცია-ცვლილებების გამო ქუთაისელებს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის შეკვრა უჭირთ.

არადა, ქუთაისელები უმეტესწილად ლიდერობდნენ. მესამე პერიოდში მასპინძელთა ლიდერობამ 9 ქულას მიაღწია, მაგრამ გუგა პატაშურის, ეიერი დიგისისა და ქვემოქართლელთა გუნდური თამაშით რუსთავმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და ბოლო პერიოდში გამარჯვებამდე ისე მივიდა, თამაში არ დაძაბულა – 89:80.

სტუმართა გუნდში 21 ქულით, 8 მოხსნითა და 6 პასით საუკეთესო იყო გუგა პატაშური, ეიერი დიქსმა 20 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა; ქუთაისში 23 ქულითა და 9 მოხსნით კრისტოფერ უეირი გამოირჩა, 21-21 ქულა ლუკა მაზიაშვილმა და კახა ჯინჭარაძემ მიითვალეს.

კავკასია-დელტა 78:89
(18:26; 19:19; 24:19; 17:25)

ცხრილში სოლიდური სხვაობის მიუხედავად, გამარჯვება შედარებით დაბლა მყოფმა გურჯაანულმა გუნდმა მოიპოვა.

ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა დელტამ საინტერესო, არასტაბილური გზა გამოიარა. გურჯაანელებმა სუპერლიგა 5 მოგებითა და 1 მარცხით დაიწყეს, შემდეგ ზედიზედ 7 მატჩი წააგეს, ბოლოს კი, 5 მატჩში 4 მოგება აქვთ. ლოგიკურად, გურჯაანელებს ახლა აღმავლობის პერიოდი აქვთ და აკი, 9 მოგებითა და 9 მარცხით სუპერლიგის ცხრილში საპატიო მე-4 ადგილი უკავიათ.

კავკასიას რაც შეეხება, შედეგიანად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ ბექა წივწივაძის გაწვრთნილ

გუნდს წაგებები მოუმრავლდა. დელტასთან მატჩში კავკასიელებმა მორიგი მარცხის თავიდან ასარიდებლად ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. დელტას კალათბურთელებმა შეხვედრა როგორი მობილიზებითაც დაიწყეს, ისე დაასრულეს. კავკასიას დაწინაურებული დელტას წამოწევა მესამე პერიოდში გამოუვიდა, მაგრამ მეტოქეს მხოლოდ 3 ქულით მიუახლოვდა – მეტი კავკასიელებმა ვერ შეძლეს და სუპერლიგაში მე-6 მარცხი იწვნიეს. თუმცა წივწივაძის გაწვრთნილ გუნდს 11 გამარჯვება მაინც აქვს და ცხრილში მე-3 პოზიციაზე მყარად დგას.

შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 89:78, დელტას სასარგებლოდ, რომელსაც ამერიკელმა ლეგიონერმა, ეივი ტუმერმა ულიდერა – 24 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი. 19 ქულა და 9 მოხსნა დერიკ ნიუტონის ანგარიშზეა. 13 ქულა გეგი ბაქრაძემ მიითვალა. კავკასიაში 24-24 ქულით კრის მაკნილი და ჯასტინ ფორესტი გამოირჩნენ. 11 ქულა ლევან გოგიჩაიშვილის ანგარიშზეა.

ბათუმი-მახჩვეთი 69:96
(16:19; 13:25; 15:28; 25:24)

აჭარაში სათამაშოდ ფლეი ოფში გასასვლელად მებრძოლი მარგვეთი ჩავიდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი პარალელურად საიმისოდ იბრძვის, რომ რეგულარულ ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილი არ დაიკავოს, რათა სუპერლიგაში დასარჩენად დამატებითი საკვალიფიკაციო რაუნდის თამაშმა არ მოუწიოს.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ აჭარულ გუნდს ბოლო 7 მატჩიდან 6 ჰქონდა მოგებული და ერთ-ერთ აუტსაიდერთან საშინაო მატჩში მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდა, რათა სატურნირო მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. გამარჯვების შემთხვევაში ბათუმელები ცხრილში კაკტუსს, თსუ-ს და დელტას ასწრებდნენ, მაგრამ მოულოდნელად მარცხი განიცადეს. მარგვეთის ბათუმში გამარჯვება გვარიანად მოულოდნელი შედეგი იყო.

პირველი პერიოდის 3 ქულით მოგების შემდეგ, მარგვეთმა მეორე ათწუთეულში მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობა. შედეგად დიდ შესვენებაზე სტუმრები უკვე 15 ქულას იგებდნენ. ვითარება არც მეორე ნახევარში შეიცვალა. გუნდური თამაშის წყალობით მარგვეთმა მესამე პერიოდი 28:15 მოიგო და მატჩის ბედი თამაშის დასრულებამდე 1 პერიოდით ადრე გადაწყვიტა. ჩერქეზიშვილის გუნდი 28 ქულით იგებდა, რისი გაბათილებაც სენსაციის ტოლფასი იყო და არც მომხდარა. მარგვეთი მშვიდად მივიდა საბოლოო გამარჯვებამდე – 96:69.

სტუმრებს რონი როზიემ და მარქუს გილსონმა ულიდერეს. პირველმა 26 ქულა, 5 პასი და 4 მოხსნა მიითვალა, ხოლო გილსონის ანგარიშზე 19 ქულა, 9 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. 17 ქულით, 5 პასითა და 4 ჩაჭრით გამოირჩა ნიკა ჩეჩელაშვილი. ბათუმელთა რიგებში საუკეთესო შედეგი კაილი რიდლიმ დააფიქსირა, რომელმაც 29 ქულა, 6 მოხსნა და 5 ჩაჭრა დააგროვა, თუმცა ბურთი შვიდჯერ დაკარგა.

ამ გამარჯვებით მარგვეთმა საპლეიოფო ზონაში, მე-8 ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ მე-9 ადგილზე მყოფ ქუთაისს მასზე ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული და ქულით ჩამორჩება.

ვერა-თსუ 76:100
(25:20; 14:23; 21:31; 16:26)

საკალათბურთო კლუბი ვერა, რომელმაც სუპერლიგაში ბოლო 4 სეზონი გაატარა, უმაღლესი ლიგას ემშვიდობება. თსუ-სთან წაგების შემდეგ, ოფიციალურად გაირკვა, რომ რეგულარული ჩემპიონატი ისე დასრულდება, ვერა ბოლო ადგილს თავს ვერ დააღწევს.

ლეონიდ ივატინის გაწვრთნილი გუნდი, რომელმაც გუნდის მართვის სადავეები 3 ტურის წინ კლუბის პრეზიდენტისა და ბოლო სეზონებში მთავარი მწვრთნელის, დავით გასიტაშვილისაგან გადაიბარა, სუპერლიგას დატოვებს. საკალათბურთო კლუბი ვერა 2018 წელს შეიქმნა და პირველივე წელს ა ლიგაში ითამაშა, საიდანაც პირველივე ცდაზე, 2019 წელს სუპერლიგის საგზური მოიპოვა.

თუ ვინ შეცვლის ვერას სუპერლიგაში, ეს ა ლიგის სეზონის დასრულების შემდეგ გაირკვევა, სადაც ფლეი ოფი რამდენიმე დღეში იწყება. ვერას სუპერლიგაში 2 მატჩის ჩატარება დარჩა, რომლებსაც სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა მხოლოდ ვერას მეტოქეებისთვის აქვს.

ვერა საჩემპიონოდ შემართულ თსუ-ს მხოლოდ პირველ ნახევარში ტოლსწორად ებრძოლა. ის კი არა, თავიდან სულაც 11 ქულით – 21:10 უგებდა. თუმცა, თსუ-მ თავს ძალა დაატანა და თამაში სასურველ კალაპოტში ჩააყენა. ეს დიდი შესვენების შემდეგ მოხდა. მანამდე ძირითადად ვერა იგებდა. პერიოდის მიწურულს უნივერსიტეტელებმა მოახერხეს აუტსაიდერის გადასწრება და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 43:39.

მოედანზე დაბრუნებულმა უნივერსიტეტელებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს და თსუ-ს ლიდერობამ 20 ქულას რომ მიაღწია, შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა. საკითხავი ისღა იყო, რამდენი ქულით იმარჯვებდა თსუ. საბოლოოდ 100:76 და ვერას ა ლიგაში დაქვეითების საკითხი ოფიციალურად გადაწყდა.

თსუ-ში ყველაზე შედეგიანად ბექა ბექაურმა ითამაშა, რომელმაც თავი 25 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. 18 ქულა ჯიმონ ჰენსონის ანგარიშზე, 14-14 ქულა ნიკოლოზ დარბაიძემ და მაკლლომ დრამრაითმა მოაგროვეს. ვერაში 24 ქულით, 7 მოხსნითა და 7 პასით საუკეთესო იყო ლუკა ზაქრაძე. 18 ქულა კაიდერ რაისის ანგარიშზეა.

სუპერლიგის ისტორიაში პირველად, ამ მატჩში დაუყოვნებელი გადახვევის სისტემა გამოიყენეს, რომელიც მსოფლიო კალათბურთში დამკვიდრებული პრაქტიკაა. საკამათო მომენტების გადარჩევად და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მსაჯები ვიდეოგამეორებას მიმართავენ ხოლმე. გამეორების მოთხოვნა, დადგენილი წესებით, მწვრთნელებსაც აქვთ.

სატუნირო ცხრილი:

1.ოლიმპი	17	14	3	1491-1374	31
2.რუსთავი	17	13	4	1541-1336	30
3.კავკასია	17	11	6	1379-1370	28
4.დელტა	18	9	9	1519-1448	27
5.ბათუმი	17	9	8	1435-1417	26
6.კაკტუსი	17	9	8	1303-1364	26
7.თსუ	17	9	8	1447-1386	26
8.მეგა	18	7	11	1403-1470	25
9.ქუთაისი	17	7	10	1399-1461	24
10.ტიტები	17	5	12	1421-1462	22
11.ვერა	18	2	16	1409-1659	20

საქართველოში ჰალანდი ვერ ჩამოდის

20 მარტს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრებმა მონღოლეთთან და ნორვეგიასთან მატჩებისთვის მზადება თბილისში დაიწყო. ვილი სანიოლის გუნდმა, დინამო თბილისის საწვრთნელ ბაზაზე არასრული შემადგენლობით ივარჯიშა.

საწვრთნელ პროცესში 17 ფეხბურთელი მონაწილეობდა: გიორგი მამარდაშვილი, ლუკა გუგეშაშვილი, ოთარ კაკაბაძე, მამუკა კობახიძე, სოლომონ კვერკველია, ჯიმი ტაბიძე, საბა საზონოვი, ლაშა დვალი, ანზორ მექვაბიშვილი, ლუკა გაგნიძე, გაბრიელ სიგუა, გიორგი აბურჯანია, საბა ლობჟანიძე, ზურიკო დავითაშვილი, დავით ვოლკოვი, გიორგი ბერიძე, ბუდუ ზივზივაძე.

ფეხბურთელები, რომელთა გუნდებს მატჩები კვირას ჰქონდათ, სანიოლის კრებულს გუშინ შეუერთდნენ.

მონღოლეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ჩვენი გუნდი 25 მარტს გამართავს. 28 მარტს კი, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში ნორვეგიას დაუპირისპირდება.

ორივე მატჩი ბათუმში გაიმართება, სადაც ჩვენი გუნდი 24 მარტს გაემგზავრება.

ორშაბათსვე დაიწყო ევროშესარჩევისთვის მზადება ნორვეგიის ნაკრებმაც. სტალე სოლბაკენის გუნდმაც პირველი ვარჯიში ჩაატარა და სერიოზული დანაკლისიც აქვთ – მეტოქე გუნდის ვარსკვლავმა, ერლინგ ჰაალანდმა ტრავმა მიიღო და ვილი სანიოლის გუნდის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

ოლა სანდი, ნორვეგიის ნაკრების ქეიმი:

– იმედი გვქონდა, რომ პრობლემა მცირე და უმნიშვნელო იყო, რომელსაც შაბათამდე მოვაგვარებდით, მაგრამ ტესტებისა და შემოწმებების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ერლინგმა ესპანეთთან და საქართველოსთან მატჩები უნდა გამოტოვოს.

ჰალანდის დანაკლისზე და მოგავალ მატჩებზე ისაუბრა ნორვეგიელთა თავკაცმა **სტალე სოლბაკენმა:**

– ერლინგისთვის ეს მძიმე დარტყმაა. საბედნიეროდ, ჩვენი გუნდი მის გარეშეც საკმარისად თავდაჯერებული, ნიჭიერი, ძლიერი და ერთიანია საიმისოდ, რომ უახლოეს მატჩებში საჭირო ქულები ავიღოთ. მთელი გუნდი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. ერთდროულად ორ მატჩზე ვფიქრობთ. ბათუმში ჩასასვლელად ხანგრძლივი მგზავრობა მოგვიწევს და აღდგენისთვის ორიოდ დღე გვექნება. ორი მძიმე შეხვედრა გველის, მაგრამ საქართველოსთან სამი ქულის მოპოვება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ესპანეთთან. ეს ჩვენთვის საკვანძო თამაშია. ამოცანაა: ფრე მალაგაში და მოგება ბათუმში. ნებისმიერ შემთხვევაში, ორივესთან ვა-ბანკზე წავალთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 7. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს, დნობის დასაჩქარებლად; 9. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელი იტალიელი ოსტატი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. შტატი აშშ-ში; 15. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 17. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველად საბერძნეთში; 20. წყალსა და წებოში გაზავებული სახატავი საღებავი.

თარაზულად: 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. პარიზის ძველი სახელწოდება; 8. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 16. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება; 18. ფართოდ გავრცელებული ტროპიკული მარადმწვანე მცენარე; 19. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 21. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. ხეობაზე გაყვანილი ხიდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კორტესი; 2. ციხეგოჯი; 3. პიარნუ; 4. თოიძე; 5. პიკადელი; 8. ბენეფისი; 12. ოშკი; 13. პრეტორია; 14. ანდები; 16. დებიუტი; 18. სალდო; 20. ბახი.

თარაზულად: 6. შოკოლადი; 7. ბეისბოლი; 8. ბისეკი; 9. ჯეზვე; 10. მოლაღური; 11. პიროლიზი; 15. ბრიჯსტოუნი; 17. ბითაძე; 19. ბურბონები; 21. არაბული; 22. კატალონია; 23. ყიფიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ნაიტი; 3. ბრასკუბა; 4. შეკელი; 7. აკიდო; 9. აზარი; 12. გლინტვეინი; 14. სამება; 15. ხერსონი; 17. კუმურდო; 20. ფერმი.

თარაზულად: 5. კაშაგანი; 6. გორგაძე; 8. გატუიკი; 10. ბუდეშური; 11. ამპირი; 13. სტაპელი; 16. მისტრალი; 18. ხუნტა; 19. გროგი; 21. უემბლი; 22. ანაპაიმი; 23. კარდენი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

22 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5762	ევრო — 2.7717
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1564	100 რუსული რუბლი — 3.3457

ამინდის პროგნოზი 22 მარტისათვის

მესი: „ნაკრებში დაბრუნება ყოველთვის განსაკუთრებულია“

ლიონელ მესი არგენტინაში დაბრუნდა და ეროვნულ გუნდს შეუერთდა, რომელიც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. მესიმ თქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ მისთვის ნაკრებში დაბრუნება განსაკუთრებული შეგრძნებაა: „მოუთმენლად ველი, რომ ნაკრების მაისურით მოედანზე გამოვიდე, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ეს პირველად მოხდება. ჩვენ ისევ შეგვიძლია ისტორია დავწეროთ“.

ერლინ ჰალანდი საქართველოსთან არ ითამაშებს

ნორვეგიის ნაკრების და მანჩესტერ სიტის ფორვარდი ერლინ ჰალანდი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის მიზეზი საზარდულის ტრავმაა, რომელიც ჰალანდმა ბარნლის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო. საქართველოს გარდა, ჰალანდი ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგაც არ ითამაშებს. საქართველო-ნორვეგიის შეხვედრა 28 მარტს, ბათუმში ჩატარდება.

რონალდ არაუხომ მცირე ტრავმა მიიღო

ბარსელონას ურუგვაელმა მცველმა რონალდ არაუხომ მცირე ტრავმა მიიღო და ის თავისი ნაკრების თამაშებს გამოტოვებს. არაუხოს ტრავმა სერიოზული არ არის და ის დიდი ალბათობით 5 აპრილს რეალის წინააღმდეგ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს. არაუხო ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად ითვლება და წელს მას კარიერაში საუკეთესო სეზონი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

– დიახ, რა მოხდა, რაიმე პრობლემა შეგექმნათ?

– ჩემს ბაღში ხეზე ფოსტალიონი ზის და ჩემს ძაღლს უშვერი სიტყვებით ლანძღავს...

•••

მამაკაცი ვეტერინარს ურეკავს და ეუბნება:

– ახლა თქვენთან ჩემი სიდედრი მოვა და ძაღლს მოიყვანს. გთხოვთ, ისეთი ნემსი გაუკეთოთ, რომ დიდხანს არ იწვალოს და სწრაფად მოკვდეს.

– და თქვენი ძაღლი სახლს მარტო მოაგნებს?

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– შენი ხელფასის მოცემას არ აპირებ?!

– დღეს არა... თავი მტკივა.

•••

ქალი ახალგაზრდა ექიმ ქალს შესჩივის:

– ექიმო, ჩემს ქმარს მთელი დღე ინტენსიური სექსი სურს. როგორ მოვიქცე?

– ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცი!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ზოგჯერ სიზარმაცის შემოტევები თუ გემართება ხოლმე?

– არა, ხანდახან აქტიურობის შემოტევები მემართება, სიზარმაცე კი მუდმივია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ანანიაშვილი 60 წლისაა

პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი 60 წლის გახდა. საიუბილეო თარიღი მოცეკვავეს ათასობით ერთგულმა მაყურებელმა, კოლეგებმა, უახლოესმა ადამიანებმა მიულოცეს.

ნინო ანანიაშვილმა საბალეტო ხელოვნების შესწავლა 10 წლიდან თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში თამარა ვიხოდცევას კლასში დაიწყო, მოგვიანებით კი სწავლა მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ცნობილ პედაგოგთან ნატალია ზოლოტოვასთან გააგრძელა.

წლების განმავლობაში ბალერინა მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა იყო. ამ თეატრის გამოჩენილი ბალერინას რაისა სტრუჩკოვას ხელმძღვანელობით მოამზადა და კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობის ყველა პარტია იცეკვა.

დიდ თეატრში პირველივე სეზონში ნინო ანანიაშვილმა წარმატებით შეასრულა ოდეტა-ოდილიას პარტია „გედების ტბაში“ გერმანიაში, ჰამბურგში, დიდი თეატრის გასტროლის დროს. ნინო ანანიაშვილი 4 უმაღლესი საერთაშორისო საბალეტო ჯილდოს მფლობელია – ბულგარეთის ქალაქ ვარნის X საერთაშორისო კონკურსის ოქროს მედლის, მოსკოვის IV საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის, მოსკოვის V საერთაშორისო კონკურსის ოქროს მედლისა და ჯექსონის (აშშ) III საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის.

იუბილარი ხელოვანისთვის განსაკუთრებულია ბალანჩინის თეატრში – „ნიუ იორკ სიტი ბალეტში“ ანდრის ლიეპასთან ერთად გამოსვლა. ნინო ანანიაშვილი პირველი მოცეკვავე იყო ყოფილი სსრკ-იდან, რომელიც ამ თეატრში მიიწვიეს და მთავარი პარტიები ბალანჩინის ბალეტებში „სიმფონია დო მაჟორი“, „რაიმონდა ვარიაციები“ და „აპოლო“ იცეკვა.

საბალეტო კარიერის განმავლობაში ნინო ანანიაშვილმა იცეკვა ინგლისის ბალეტის სამეფო თეატრში – კოვენ-გარდენში, დანიის სამეფო თეატრში, სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრში, ამერიკის ბალეტის თეატრში მიწვეული პრიმა-ბალერინას სტატუსით. ცეკვავდა შვედეთის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ფინეთის, ბავარიის, მონტე-კარლოს, ბირმინგემის, ბოსტონის, ტოკიოსა და სხვა თეატრებში.

ნინო ანანიაშვილი წლებია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის ხელმძღვანელია. მისი ხელმძღვანელობით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 80-ზე მეტი საბალეტო სპექტაკლი და მინიატურა დაიდგა. თეატრის რეპერტუარშია როგორც კლასიკური ბალეტების ახალი რედაქციები, ასევე ჯორჯ ბალანჩინის, ფრედერიკ ეშტონის, ავგუსტ ბურნონვილის, ირჟი კილიანის დადგმები. საბალეტო დასთან თანამშრომლობენ ცნობილი ქორეოგრაფები ალექსეი რატმანსკი, ალექსეი ფადეეჩევი, იური პოსოხოვი, თრეი მაკინტაერი, სტენტონ უელში, იორმა ელო... საბალეტო დასმა დიდი წარმატება მოიპოვა გასტროლებზე ამერიკის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„ერისიონი“ ახალ პროგრამას „ქართული საგანძური“ წარმოადგენს

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“ მაყურებელს ახალ შოუ პროგრამას შესთავაზებს.

„ქართული საგანძური“ – ასე ეწოდება „ერისიონის“ ახალ საკონცერტო პროგრამას, რომელსაც 20 და 21 მაისს მაყურებელი თბილისის საკონცერტო დარბაზში იხილავს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული დამწერლობის მუზეუმი გაიხსნება

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული დამწერლობის მუზეუმი წლის მიწურულს გაიხსნება.

სივრცეში მოეწყობა ჯადოსნური ექსპოზიცია და ბაგრატის ტაძრის იატაკის აღდგენილი ვერსია, ისეთივე საოცარი, როგორც იშხნის ასლი გამოვიდა ბიბლიოთეკის წიგნის დამუშავების ცენტრში.

ქართული დამწერლობის მუზეუმში მისული დამთვალიერებელი იხილავს ვიდეო-ინსტალაციებს და და ანბანში მოგზაურობას ბავშვებისთვის.

ტიციან ტაბიძის ნათარგმნი საიათ-ნოვას ლექსები ლიტერატურის მუზეუმმა შეისყიდა

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა ცისფერყანწელი პოეტის ტიციან ტაბიძის მიერ ნათარგმნი საიათ-ნოვას ლექსები შეისყიდა.

ინფორმაცია მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ გაავრცელა:

– შევისყიდეთ ტიციან ტაბიძის მიერ ნათარგმნი საიათ-ნოვას ლექსები. არც კი ვიცოდით, რომ ტიციანს რუსულად ჰქონდა თარგმნილი საიათ-ნოვა. რამდენადაც ვიცით, გამოუქვეყნებელია. საიათ-ნოვათი ტიციანი დაინტერესებული იყო. ლექსებშიც ჩნდება საიათ-ნოვა. 1930 წელს დაწერილ სტატიაში „საიათ-ნოვა“ ითხოვს, დაარსებულ იქნას საიათ-ნოვას შესწავლისა და სრული გამოცემის საორგანიზაციო კომისია.

ქართული ხელოვნების ნიმუშები ლონდონის აუქციონზე გაიტანეს

პირველად აუქციონების ისტორიაში „ბაია გალერეამ“ ლონდონის სააუქციონო სახლთან თანამშრომლობით ქართული ხელოვნება საერთაშორისო აუქციონზე გაიტანა.

ერთობლივი პროექტის ფარგლებში ლონდონში რეგიონალური ფორმატით ჩატარდა ონლაინ აუქციონი – „ქართული და სომხური ხელოვნება“. წინა სააუქციონო პროცესში ჩაერთნენ ქართველი და უცხოელი კოლექციონერები და მათი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან, სწორედ კოლექციონერების ინტერესი განსაზღვრავს ქართული ხელოვნების აუქციონის მომავალს, მის დამკვიდრებას გაყიდვების საერთაშორისო პლატფორმაზე, რაც გამოიწვევს ქართველი მხატვრების ნამუშევრების საინვესტიციო ინდექსის და ქართული ხელოვნების საერთაშორისო სტატუსის გაზრდას. აუქციონმა მისთვის დამახასიათებელი მოულოდნელობებით, შეიძლება მთლიანად შეცვალოს ქართული ხელოვნების ბაზრის ლოკალური სურათი ან იმოქმედოს ცალკეული მხატვრების გაყიდვების პერსონალურ ისტორიაზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

22 მარტისათვის

ფერძი – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **გუნეები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ლონდონში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათამაშოების მაღაზია; 2. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 3. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 4. მოკლემეტრაჟიანი კომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 5. სხეულთა მოძრაობის შემსწავლელი მექანიკის დარგი; 8. ჭარხლიდან შაქრის მიმღები აპარატი; 12. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 13. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 14. ქართული საცხენოსნო შეჯიბრი; 16. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 18. ლეო დელიბის ოპერა; 20. ნიგვზისგან მომზადებული საწებელი.

თარაზულად: 6. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 7. ავსტრალიელი ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 8. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 9. ზეთში შებრაწული თხლად დაჭრილი კარტოფილი; 10. ეპიკური პოემების „ილიადა“ და „ოდისეას“ ავტორი; 11. გეომეტრიული ფიგურა; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ნიდერლანდებში; 17. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი არგენტინელი ავტომრბოლელი; 19. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთსა და კალათბურთში; 21. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 22. ბრიტანელი პოლიციელი; 23. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა